საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 2 ივნისის

დადგენილება №2422

დოქტორანტურის ინგლისურენოვანი
საგანმანათლებლო პროგრამა
„მდგრადი ურბანისტიკის“ დამტკიცების
შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის ნინო იმნაძის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დამტკიცდეს დოქტორანტურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „მდგრადი ურბანისტიკა“;
2. დოქტორანტურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „მდგრადი ურბანისტიკის“ ხელმძღვანელად დაინიშნოს პროფესორი ნინო ჩაჩავა.

დადგენილებას თან ერთვის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის №21 ოქმი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 2 ივნისის დადგენილება №2422-ის

დანართი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
N 21 ოქმი

თბილისი
17. 05. 2017წ.

სხდომას 60 წევრიდან ესწრებოდა 33 წევრი

ფაკულტეტის საბჭოს წევრები:
გ. სალუქვაძე, თ. მახარაშვილი, ნ. ხაბეიშვილი, თ. სანიკიძე, თ. ჩიგოგიძე, მ.დავითაია, ვ.ფირცხლავა, გ.ნაცვლიშვილი, მ. მაისურაძე, ქ. ბერეკაშვილი, მ. მელქაძე, ნ.ქოჩლაძე, დ. ბოსტანაშვილი, გ. წულუკიძე, ვ. მჭედლიშვილი, მ. ფოჩხუა, გ. როყვა, ბ. ბერიშვილი, ნ. ჩაჩავა, ვ. მუჯირი.

სტუდენტები:
ვ. ნოსელიძე, გ. რაზმაძე, ს. მამრიკიშვილი, დ.ჩიბურდანიძე; ჯ. მაისურაძე, გ.კუპულაძე, გ.მიქავა, გ. მოდებაძე, თ. ვაშაყმაძე, ა. ლაგვილავა, ნ.გოცირიძე, ბ. კორაშვილი.

სხდომას უძღვებოდა არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ნინო იმნაძე.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>
1. ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის "მდგრადი ურბანისტიკა" განხილვა.
2. ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის " მდგრადი ურბანისტიკა" ხელმძღვანელის დამტკიცება.

<u>მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1:</u> არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის პროფ. ნინო ხაბეიშვილის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ფაკულტეტზე შემუშავდა ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა "მდგრადი ურბანისტიკა", მისანიჭებელი კვალიფიკაცით – ურბანისტიკის დოქტორი. წარმოდგენილი პროგრამა შეიქმნა TEMPUS-ის პროგრამის Re-THINK-ის პროექტის № 54417 8-T EM PUS-1-2013-1-PT-TEMPUS-JPCR ფარგლებში, და იძლევა ორმაგი ხარისხის დიპლომის გაცემის შესაძლებლობას. ის სრულად შეესაბამება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებას და დამუშავებულია სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებული პროგრამის და სილაბუსის ფორმების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შედგენის რეკომენდაციების მიხედვით. ნინო ხაბეიშვილმა პროგრამა წარმოუდგინა საბჭოს წევრებს განსახილველად, რათა შემდგომ წარედგინა ის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის შესათანხმებლად და აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად გასატანად.

<u>ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:</u> გ. სალუქვაძემ, თ.მახარაშვილმა, ნ.იმნაძემ. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი პროგრამის გაჩენა ფაკულტეტის სივრცეში მიუთითებს ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა

პროფესიონალიზმზე. ინგლისურენოვანი პროგრამის ამოქმედება ხელს შეუწყობს დარგის პოპულარიზაციას და ქართული „არქიტექტურული სკოლის“ აღიარებას საქართველოს ფარგლებს გარეთ. პროგრამა მთლიანად სტუდენტებზეა ორიენტირებული და წარმოდგენილი სახით იმსახურებს დადებით შეფასებას.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დამტკიცდეს ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა "მდგრადი ურბანისტიკა“ წარმოდგენილი სახით და გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შესათანხმებლად და აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად გასატანად.
გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 2: არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, პროფ. ნინო ხაბეიშვილმა დამსწრეებს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ სტუ-ს დებულების შესაბამისად უნდა მოხდეს ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის "მდგრადი ურბანისტიკა“ ხელმძღვანელის განსაზღვრა. პროფ. თ. მახარაშვილის მიერ დასახელებული იქნა ასოცირებული პროფესორის ნინო ჩაჩავას კანდიდატურა, რომელიც რეალურად არის Tempus Project No.544178-TEMPUS-1-2013-1-PT-TEMPUS-JPCR-ის პროექტის კოორდინატორი.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: პროფ. ნ. იმნაძემ, პროფ. გ. სალუქვაძემ, ასოც. პროფ. თ. ჩიგოგიძემ. მათ აღნიშნეს, რომ დასახელებული კანდიდატურის კვალიფიკაცია გარანტია იმისა, რომ პროგრამის განხორციელება მოხდება კარგ დონეზე და მხარი დაუჭირეს ნინო ჩაჩავასთვის ხელმძღვანელის სტატუსის მინიჭების საკითხს.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის "მდგრადი ურბანისტიკა“ ხელმძღვანელად განისაზღვრა ასოცირებული პროფესორი ნინო ჩაჩავა.
გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი — ნ. იმნაძე

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს მდივანი — ნ. ქოჩლაძე

სწორია:

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საბჭოს მდივანი — ნ. ქოჩლაძე